

საქართველო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია



ვამტკიცებ

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის
სენატის გადაწყვეტილება №1/3, 27.02.2018



ი. შარაბიძე

ბიუჯეტის შედგენის წესი

ND 2-O25


შეთანხმებულია:

იურიდიული და ადამიანური რესურსების

მართვის დეპარტამენტის უფროსი  რ. გოგიანი

შემუშავებულია:

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის

უფროსი  გ. ბაკურიძე



შინაარსი

1. ნორმატიული ბაზა	3
2. ტერმინები. შემოკლებები. განმარტებები	3
3. მუხლი 1. ზოგადი დებულებები	4
4. მუხლი 2. აკადემიის ბიუჯეტი	4
5. მუხლი 3. ბიუჯეტის ფორმირება	5
6. მუხლი 4. ბიუჯეტის დამტკიცება	5
7. მუხლი 5. აკადემიის ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა	6
8. გავრცელების არე	6



1. ნორმატიული ბაზა

1. ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდება ND 2-001;
2. ხარისხის სახელმძღვანელო ND 2-Q03;
3. დოკუმენტების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-01;
4. ჩანაწერების კონტროლის მართვის პროცედურა ND 2-Q04-02;

2. ტერმინები. შემოკლებები. განმარტებები

2.1. ტერმინები

- 2.1.1. **სტუდენტი** – პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის, ასევე დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად;
- 2.1.1. **ფაკულტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ძირითადი სასწავლო-სამეცნიერო და ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებას;
- 2.1.2. **სტუდენტი** – პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის ან დიპლომირებული სპეციალისტის, ასევე დოქტორანტურის პროგრამის გასავლელად;

2.2. შემოკლებები

ND – ნორმატიული დოკუმენტი;

აკადემია – ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია;

ISO – სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;



მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესი შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და იგი განსაზღვრავს სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის (შემდეგში - აკადემია) ბიუჯეტის შედგენის წესს.
2. აკადემიის ბიუჯეტის პროექტს ამზადებს პირველი მოადგილე და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიის სენატს.
3. აკადემიის სენატი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

მუხლი 2. აკადემიის ბიუჯეტი

1. ბიუჯეტი არის აკადემიის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით შემოსავლებისა და გასაწევი ხარჯების ერთობლიობა, რომელიც მტკიცდება სენატის მიერ;
2. აკადემიის ბიუჯეტის პროექტს რექტორის პირველი მოადგილე ფაკულტეტებთან და სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიის სენატს.
3. აკადემიის სენატი განიხილავს წარმოდგენილ ბიუჯეტს და ამტკიცებს მას ან შესაბამისი შენიშვნებით უბრუნებს რექტორის პირველ მოადგილეს.
4. თუ რექტორის პირველ მოადგილე დაეთანხმება წარმოდგენილ შენიშვნებს, ბიუჯეტს შენიშვნების გათვალისწინებით დაამტკიცებს აკადემიის სენატი.
5. იმ შემთხვევაში, თუ რექტორის პირველ მოადგილე არ ეთანხმება აკადემიის სენატის შენიშვნებს, რექტორის პირველ მოადგილეს უფლება აქვს ბიუჯეტის პირვანდელი ვარიანტი დასაბუთებული შენიშვნებით დასამტკიცებლად დაუბრუნოს აკადემიის სენატს.



მუხლი 3. ბიუჯეტის ფორმირება

- აკადემიის ბიუჯეტი ყალიბდება ფინანსირების ყველა წყაროს გათვალისწინებით და მოიცავს საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებს.
- აკადემიის ბიუჯეტის შემოსავლების წყაროებია:
 - სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტით;
 - ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული შემოსავალი;
 - გრანტის სახით მიღებული შემოსავლები
 - კერძო შემოწირულობის სახით მიღებული შემოსავლები;
 - საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები;
 - დარგობრივი სამინისტროების მიერ გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება;
 - ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი დაფინანსება;
 - ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებები;
 - ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
 - საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, საქმიანობით მიღებული შემოსავლები.
- აკადემიის ხარჯები ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

მუხლი 4. ბიუჯეტის დამტკიცება

აკადემიის მომდევნო წლის ბიუჯეტი დამტკიცებული უნდა იქნეს არაუგვიანეს 25 დეკემბრისა, გამონაკლის შემთხვევაში კი არაუგვიანეს 25 იანვრისა. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი ბიუჯეტის დამტკიცებამდე აკადემიის რექტორის პირველ მოადგილე უფლებამოსილია დადოს ფინანსური და ეკონომიკური გარიგებები მხოლოდ მიმდინარე ხარჯებისათვის და დროებით ისარგებლოს წინა წლის დამტკიცებული ბიუჯეტის პარამეტრებით.



მუხლი 5. აკადემიის ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა

1. აკადემიის ბიუჯეტში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება საბიუჯეტო წლის განმავლობაში.
2. აკადემიის დამტკიცებულ ნაერთ ბიუჯეტში საბიუჯეტო წლის განმავლობაში ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს აკადემიის სენატის გადაწყვეტილების გარეშე რექტორის პირველ მოადგილის გადაწყვეტილებით მთლიანი ასიგნების მხოლოდ 10%-ის ფარგლებში .

6. გავრცელების არე

1. დოკუმენტის ორიგინალი ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში;
2. დოკუმენტის ელექტრონული ვერსია (რომელიც წარმოადგენს დოკუმენტის საკონტროლო და აღრიცხულ ექზემპლარს) განთავსებულია www.office.bsma.edu.ge
3. დოკუმენტის აღრიცხული ეგზემპლარის დაგზავნას აწარმოებს ISO სტანდარტის უზრუნველყოფის სამსახური outlook-ით (სამუშაო ფოსტით) და დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემის მეშვეობით;